ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევები დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში

გიორგი ხარებავა *(ავტორი)*
გიგა ჯოხაძე, გიორგი გოთუა *(რედაქტორები)*
ზაზა ბიბილაშვილი *(მთავარი რედაქტორი)*
ქეთი ქურდოვანიძე *(ენობრივი რედაქტორი)*

ანგარიში მომზადდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის მიერ პროექტის DIVERSE (მრავალფეროვნება, კულტურათაშორისი დიალოგი და მრავალმხრივი სტრატეგიები მდგრადი საზოგადოების გაძლიერებისათვის) ფარგლებში, USAID-ის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA Georgia) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშშიგამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორებს და არ ასახავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციას.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია ის პრობლემები, რომლებსაც საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები აწყდებიან ეთნიკურ უმცირესობებში ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა რვა სიღრმისეული ინტერვიუ ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; ასევე, გამოყენებულია მეორეული, მათ შორის რაოდენობრივი, მონაცემები. ინტერვიუები ჩატარდა 2024 წლის ივლის-აგვისტოს პერიოდში. ჩვენი მიზანი იყო ამ მიმართულებით არსებული დაბრკოლებებისა და პოტენციური გადაწყვეტილებების გამოვლენა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება აწყდება მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციისას, განსაკუთრებით, საშუალო და უფროსი ასაკის დემოგრაფიულ ჯგუფებთან მიმართებით. ეს სირთულეები პროპაგანდით გამოწვეულ უნდობლობასთან, ენობრივ ბარიერებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციურ სისუსტეებთანაა დაკავშირებული. კვლევა ასევე ხაზს უსვამს ინფორმაციული ვაკუუმის პრობლემას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რაც მოსახლეობას უფრო მოწყვლადს ხდის ანტიდასავლური ნარატივების მიმართ. რესურსების, მათ შორის ადამიანური რესურსების, სიმწირე კიდევ უფრო აფერხებს არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პროპაგანდის წინააღმდეგ ეფექტურ ძალისხმევას. კვლევა მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული კონტრნარატივების შემუშავებისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გაზრდის გადაუდებელ საჭიროებაზე. რეკომენდაციის სახით, ავტორები გვთავაზობენ ეთნიკურ უმცირესობებში პროპაგანდასთან ბრძოლის მრავალმხრივ სტრატეგიას.

სარჩევი

შესავალი 4

საკითხის აქტუალურობა 4

მიზნები, მეთოდოლოგია 5

ეთნიკური უმცირესობები და ანტიდასავლური პროპაგანდა 5

სამოქალაქო საზოგადოება რეგიონებში - ზოგადი სურათი 10

სამოქალაქო საზოგადოება, ეთნიკური უმცირესობები და ანტიდასავლური პროპაგანდა - გამოწვევები და მათი გადაჭრის პოტენციური გზები - კვლევის მიგნებები 12

კომუნიკაციის სირთულეები სამიზნე აუდიტორიასთან 13

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 16

საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებთან მუშაობის სირთულეები. 17

რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რესურსებისა და კვალიფიკაციის სიმწირე 18

ახალი მიდგომების საჭიროება 20

დასკვნა და რეკომენდაციები 21

ბიბლიოგრაფია 23

შესავალი

საკითხის აქტუალურობა

ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოსთვის საკვანძო გამოწვევაა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროპაგანდის უკან უმეტესად რუსეთი და მასთან ღიად თუ ირიბად დაკავშირებული ჯგუფები დგანან. დასავლეთისადმი მტრულად განწყობილი, ხოლო საქართველოს შემთხვევაში ასევე ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და გავრცელებული მანიპულაციური და სხვა სახის პროპაგანდისტული ნარატივები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. საქართველოს მსგავსი მრავალეთნიკური სახელმწიფოსთვის, სადაც ეთნიკური უმცირესობების ნაწილთან მიმართებით ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებია, პროპაგანდა და დეზინფორმაცია დამატებით გამოწვევებსაც ქმნის.

პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოში ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული, რადგან ამ მიმართულებით შესაცვლელია როგორც სახელმწიფოს მიდგომა, ისე - პოლიტიკური აქტორებისა თუ სამოქალაქო სექტორის სტრატეგიაც. ერთ-ერთი კვლევის შეფასებით, პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პრობლემად რჩება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ცუდი უწყებათაშორისი კოორდინაცია, საქმიანობის ფორმალურობა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის არარსებობა.[1]

დაახლოებით მსგავს მიგნებებს გვთავაზობს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული ანგარიში „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკა 2023“. ანგარიშის მიხედვით, პროპაგანდის საფრთხეებზე რეაგირებისთვის საზოგადოების სრულყოფილი და დროული ინფორმირებაა საჭირო, თუმცა ამ მიმართულებით სახელმწიფო უწყებები თავიანთი საქმიანობის შესახებ ან მწირ ინფორმაციას აქვეყნებენ, ან საერთოდ არ აქვეყნებენ. სახელმწიფო უწყებები ინფორმაციით მანიპულაციისა და პროპაგანდასთან ბრძოლისათვის ასევე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შიდა უწყებრივი შესაძლებლობების გაძლიერებას.[2]

პროპაგანდისა და ინფორმაციით მანიპულაციის წინააღმდეგ სახელმწიფო მიდგომების შეფასების მიმართულებით გარკვეული კვლევები და ანგარიშები უკვე შექმნილია, ეს კი მომავალში სტრატეგიის დახვეწის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კონკრეტულად მათ მუშაობას ეთნიკურ უმცირესობებთან პროპაგანდის წინააღმდეგ, ამ მხრივ საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ კვლევა ამ მიმართულებითაც წარიმართოს, რათა ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებმა უფრო ეფექტურად შეძლონ

[1] სალომე ცეცხლაძე, დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში: სახელმწიფოს მიდგომა და ბრძოლის გზები (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2023) 6

[2] დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკა 2023 (https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2024-01/annex_1_-_policy_of_state_institutions_against_disinformation_and_propaganda._2023._geo.pdf)

დასახული მიზნების მიღწევა. თანამედროვე საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებში ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად სამოქალაქო საზოგადოების როლი უკიდურესად მნიშვნელოვანია, ამდენად, ეფექტური სტრატეგიისა და პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა ამ მიმართულებით არსებული კონკრეტული სირთულეების იდენტიფიცირება და პოტენციური პასუხებისა თუ გამოსავლების ძიება.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციები ორი სახის წინააღმდეგობას ხვდებიან. პირველი პრობლემაა საზოგადოების ნაწილის გულგრილი, ზოგჯერ კი ნეგატიური დამოკიდებულება არასამთავრობოთა საქმიანობის მიმართ. ეს პრობლემა ნაწილობრივ შეიძლება რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მომდინარე ანტიდასავლურ პროპაგანდასთან იყოს დაკავშირებული. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემაა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში არსებული რესურსების სიმწირე, როგორც ფინანსური, ისე - ორგანიზაციული თვალსაზრისით.

მიზნები, მეთოდოლოგია

მოცემული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია გამოიკვლიოს, აქამდე რა პრობლემებსა და გამოწვევებს აწყდებოდა ეთნიკურ უმცირესობებთან პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო საზოგადოება, და არასამთავრობო სექტორისთვის შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებში პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლისთვის იქნება გამოსადეგი.

პოლიტიკის დოკუმენტი აანალიზებს: (1) საკვლევი საკითხის ირგვლივ აქამდე ჩატარებულ კვლევებს. მუშაობის პროცესში მოვიძიეთ და გავაანალიზეთ ნაშრომები და მეორეული მონაცემები უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ევროატლანტიკურ ინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულების, განათლების პრობლემებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ; (2) სიღრმისეულ ინტერვიუებს, რომლებიც ჩატარდა ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ ლიდერებთან, ეთნიკური უმცირესობების საკითხზე მომუშავე მკვლევრებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან. მკვლევრებმა ინტერვიუები გაშიფრეს და გააანალიზეს თემატური ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 8 სიღრმისეული ინტერვიუ.

ეთნიკური უმცირესობები და ანტიდასავლური პროპაგანდა

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდა შესამჩნევად გაძლიერდა. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარებაა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით ანტიდასავლური და რუსული სტილის პროპაგანდა გაცილებით აქტიურად მუშაობს და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მხარდაჭერა უფრო ნაკლებია.

კავკასიის ბარომეტრის 2024 წლის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების 32% საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს არ უჭერს და მხოლოდ 29%

არის გაწევრიანების მომხრე, ეთნიკური სომხების შემთხვევაში გაწევრიანებას მხოლოდ 37% ემხრობა, წინააღმდეგია 50%.[3]



კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – CRRC (2024) „კავკასიის ბარომეტრი". რესპონდენტთა ეთნიკურობის მიხედვით საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრეთა განაწილება.

ცხრილი აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობები, ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით, უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილი საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მსგავსი სურათია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით:

[3] კავკასიის ბარომეტრი (https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/NATOSUPP-by-ETHNIC/ 08:19:2024)



კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – CRRC (2024) „კავკასიის ბაროომეტრი". რესპონდენტთა ეთნიკურობის მიხედვით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა განაწილება.

კავკასიის ბარომეტრის მონაცემები აჩვენებს, რომ როგორც სომხურენოვან, ისე აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ მხარდაჭერა, ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით, დაბალია და უფრო მაღალია სკეპტიციზმი[4].

საინტერესო მონაცემებია საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებში რუსეთის მიერ შექმნილ ამ კავშირში გაწევრიანებას შესამჩნევად მაღალი მხარდაჭერა აქვს, თუმცა ძალიან უარყოფითადაა განწყობილი საქართველოს სომხური მოსახლეობა. ამ უკანასკნელის განწყობის მიზეზი შეიძლება ყარაბაღის მეორე ომში სომხეთის მიმართ რუსეთის დამოკიდებულებაში ვეძიოთ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2020 წელს საქართველოს სომეხი მოქალაქეების მხოლოდ 23% ეწინააღმდეგებოდა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების იდეას.

[4] ორივე ეთნიკური ჯგუფის შიგნით, ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა არ არის სტატისტიკურად დაკავშირებული ასაკთან.



კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – CRRC (2024) „კავკასიის ბარომეტრი". რესპონდენტთა ეთნიკურობის მიხედვით საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა განაწილება.

შეხედულებები განსხვავდება უკრაინის ომთან დაკავშირებითაც, კავკასიის ბარომეტრის მიერ გამოკითხული სომხურენოვანი მოქალაქეების 35% მიიჩნევს, რომ უკრაინაში ომზე პასუხისმგებელი უკრაინის ხელისუფლებაა. სხვა ჯგუფებში ამ აზრს მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი თუ იზიარებს.



კავკასიის
კვლევითი რესურსების ცენტრი – CRRC (2024) „კავკასიის ბარომეტრი". ვინ არის მეტად პასუხისმგებელი უკრაინის ომზე, პასუხების განაწილება რესპონდენტთა ეთნიკურობის მიხედვით.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ანტიდასავლური პროპაგანდის წინაშე საქართველოში ყველაზე მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობები არიან. ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მხარდაჭერა ეთნიკურ უმცირესობებში ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით დაბალია, უკრაინაში რუსეთის შეჭრასთან დაკავშირებით კი ძლიერია ის ნარატივები, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო და მისი პროპაგანდისტული არხები ავრცელებენ. ამასთანავე, საკითხის პრობლემურობა დაადასტურეს სიღრმისეული ინტერვიუების გზით გამოკითხულმა ექსპერტებმა და ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, მომავალში რამდენად შეიცვლება მათი განწყობები. სავარაუდოა, რომ რუსული პროპაგანდის კიდევ უფრო გააქტიურების და მის წინააღმდეგ შემხვედრი ნაბიჯების დეფიციტის შემთხვევაში მსგავსი განწყობები უფრო გაძლიერდება.

ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით ეთნიკური უმცირესობების მეტი მოწყვლადობა პროპაგანდის მიმართ შეიძლება განათლების სისტემაში არსებული მთელი რიგი პრობლემებითაც აიხსნას. სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები სკოლაში ვერ სწავლობენ ქართულს სათანადო დონეზე და, შესაბამისად, ქართულენოვანი წყაროებიდან ინფორმაციის მიღებაც უჭირთ. ასევე, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება სათანადო დონეზე ვერ უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი იდენტობის განვითარებას, რაც ამცირებს ამ რეგიონების მცხოვრებლების ინტერესს საქართველოს სხვა ნაწილებში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის 2020 წლის კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების სკოლებში განათლების სისტემა მძიმე გამოწვევების წინაშე დგას. კერძოდ: ეროვნული სასწავლო გეგმები არაქართულენოვან სკოლებში ვერ ინერგება, პრობლემაა შესაბამისი სახელმძღვანელობის თარგმნა, რის გამოც ასეთ სკოლებში გამოყენებული სახელმძღვანელოები მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმას არ შეესაბამება; ქართული ენის სწავლების სირთულეები; მასწავლებლების კვალიფიკაცია, ასაკი, განათლების ხარისხი და სერტიფიცირება; გაცდენა და სკოლის მიტოვება, რაც არაქართულენოვანი მოსწავლეების შემთხვევაში გაცილებით ხშირია.[5]

პროპაგანდასა და ინფორმაციით მანიპულაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანი საკითხია ინფორმაციის მიღების წყაროებიც. როგორც ცნობილია, ეთნიკური უმცირესობებისთვის მაღალია არაქართული სამაუწყებლო თუ ინტერნეტარხებიდან ინფორმაციის მიღება და ხშირად აღნიშნული წყაროები ანტიდასავლური მესიჯების გავრცელებით გამოირჩევა. „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ 2022 წლის კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ინფორმაციას ქართულთან ერთად არაქართული წყაროებიდანაც იღებენ. გამოკითხულთა 15%-ზე მეტი ამბობს, რომ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედიებიდან იღებს. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 52%-ზე მეტისთვის რუსული მედიები ნაწილობრივ სანდოა, 44.8%-სთვის კი - ძირითადად სანდო. ამავე კვლევის თანახმად, აზერბაიჯანულენოვან რესპონდენტებში 53% სანდოობით სარგებლობდა აზერბაიჯანული მედია, სომხურენოვან მოქალაქეებში კი 57% სანდოობა აქვს სომხურ მედიას.[6] IDFI-ის დაკვირვების მიხედვით, 2024 წლის აპრილ-მაისში საქართველოში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას, აზერბაიჯანულენოვან მედიაში ხშირად ვრცელდებოდა

[5] მარიამ დალაქიშვილი, ნინო ირემაშვილი, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები (EMC, 2020) 121-125

[6] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალური ექსკლუზიის (გარიყვის) კვლევა: ანალიტიკური ანგარიში (2022, თბილისი, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი)

ანტიდასავლური პროპაგანდა, რასაც ამ მედიებიდან ინფორმაციის მიმღები საქართველოს მოქალაქეების შეცდენა შეუძლია. აზერბაიჯანული მაუწყებლები კომენტარებს სთხოვდნენ ისეთ ექსპერტებს, რომლებიც საქართველოში პრორუსული პროპაგანდის გავრცელებით არიან დაკავებული. ამის საპირისპიროდ, განსხვავებული ვითარება იყო სომხურ მედიაში, სადაც შეიმჩნეოდა საკითხის როგორც რუსეთის ხელისუფლების სასარგებლო, ისე განსხვავებული პოზიციებიდან გაშუქების ტენდენციაც.[7]

აშკარაა, რომ ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში პროპაგანდისტული ინფორმაციის მიღების მრავალი განსხვავებული საშუალება არსებობს, რაც შესაბამის თემს კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის. ქართულენოვანი მოსახლეობისგან განსხვავებით, ეთნიკურმა უმცირესობებმა, ქართულისა და რუსულის გარდა, პროპაგანდისტული ნარატივებით გაჯერებული ინფორმაცია შეიძლება აზერბაიჯანული და სომხური წყაროებიდანაც მიიღონ, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ბევრი სხვადასხვა პროექტი განხორციელდეს, რომლის მიზანიც ამ თემებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და მათი გაძლიერება იქნება, რათა მათ პროპაგანდისტული მესიჯების ამოცნობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა გაუმარტივდეთ. ამ მიზნის მიღწევაში კი არასამთავრობო ორგანიზაციებს დადებითი და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

სამოქალაქო საზოგადოება რეგიონებში - ზოგადი სურათი

დამოუკიდებლობის აღდგენისა და ქვეყნის მიერ გაცხადებული დემოკრატიული კურსის პარალელურად საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და გაძლიერების პროცესიც დაიწყო, რამაც სახელმწიფოს ინსტიტუციურ განვითარებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ფართო საკითხებს მოიცავს, როგორიცაა, მაგალითად, დასავლური, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება, ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო განათლება, გარემოს დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, სამოქალაქო ადვოკატირება და ა.შ.[8] სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენს სათემო ორგანიზაციები. საქართველოში სათემო ორგანიზაციების სტატუსი სამართლებრივად არ არის განსაზღვრული და ისინი არასამეწარმეო იურიდიულ პირებად რეგისტრირდებიან, თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა არასამთავრობო ორგანიზაციასა და სათემო ორგანიზაციას შორის. სათემო ორგანიზაცია ერთი, კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფის კეთილდღეობისთვის მომუშავე ადამიანების გაერთიანებაა,

---

[7] რუსული კანონის საწინააღმდეგო, 2024 წლის აპრილ-მაისის აქციების გაშუქება სომხურ და აზერბაიჯანულ მედიებში (https://idfi.ge/ge/coverage_of_the_april_may_2024_protests_against_russian_law_in_armenian_and_azerbaijani_media 08:19:2024)

[8] თამარ კობერიძე, სამოქალაქო საზოგადოების როლი: საუნივერსიტეტო კურსის საკითხავი მასალა (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2019/07/002_Reader_UC-RCS.pdf 08:19:2024) 67

ეს შეიძლება იყოს კონკრეტულ სოფელში, მუნიციპალიტეტში, ან უფრო ვრცელ გეოგრაფიულ არეალში მოქცეული ჯგუფი.[9]

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სათემო ორგანიზაციების გაძლიერება ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის მედეგობის გასაზრდელად შესაძლოა ერთ-ერთი ეფექტური გზა იყოს. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით საქართველოში 117 სათემო ორგანიზაცია არსებობს, რომელთა საქმიანობის სფერო ბევრ სხვადასხვა საკითხს შეეხება.[10]

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს, სამცხე-ჯავახეთში სულ 6 სათემო ორგანიზაცია მუშაობს, მათ შორის, ახალქალაქში 3, ახალციხესა და ნინოწმინდაში კი თითო-თითო.[11] ქვემო ქართლში 20 სათემო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელთაგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მარნეულში საქმიანობს 7, წალკაში 5, დმანისში 3, გარდაბანში 2, ბოლნისში კი 1. რაც შეეხება კახეთში მდებარე საგარეჯოს, სადაც დიდი რაოდენობით აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, იქ 1 - იარმუღანლოს სათემო ცენტრი ცდილობს ადგილობრივთა საჭიროებებზე მუშაობას.[12]

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც კონკრეტულად ეთნიკურ უმცირესობებთან ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობას გამოიკვლევდა, თუმცა ხელმისაწვდომია გარკვეული კვლევები ზოგადად სათემო ორგანიზაციების საქმიანობისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შეფასებაზე. აღნიშნული კვლევები ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე ორგანიზაციების შემთხვევაშიც გამოდგება გარკვეული ტენდენციების გამოსავლენად.

სათემო განვითარების ცენტრის მიერ 2019-20 წლებში ჩატარდა საფუძვლიანი კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეირჩა 120 მოქმედი სათემო ორგანიზაცია, 95 მათგანი კი კვლევისთვის გამოიკითხა. აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ახალგაზრდული საკითხები (80%), არაფორმალური განათლება (68.4%) და გარემოს დაცვა (62.1%).[13] კვლევის თანახმად, ორგანიზაციები მეტ-ნაკლები სტაბილურობით ახერხებენ მოსახლეობის კონსულტირებას/ინფორმირებას (67.3%) და ტრენინგების ჩატარებას (57.9%).[14] რაც შეეხება ფინანსურ მდგომარეობას, ამ მიმართულებით ორგანიზაციების აბსოლუტურ უმრავლესობას (80%) 20 ათას ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვით უწევს მუშაობა, საერთო ორგანიზაციების 35% კი 5 ათას ლარამდე ბიუჯეტის პირობებში ცდილობს საქმიანობის გაგრძელებას.[15] სათემო ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყარო საქართველოში

---

[9] ანა მარგველაშვილი & სხვ. სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა: ანგარიში (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2023) 15

[10] სათემო ორგანიზაციების რუკა (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (https://www.cdrc.ge/ge/organizations 08:19:2024)

[11] Ibid (https://www.cdrc.ge/ge/organizations 08:19:2024)

[12] Ibid (https://www.cdrc.ge/ge/organizations?filter%5Bregion_id%5D=14&filter%5Baddress%5D=&filter%5Borganization%5D=&filter%5Byear%5D=&filter%5Bcategory_id%5D= 08:19:2024)

[13] ანა მარგველაშვილი, საქართველოში 2019-20 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა: CBO Mapping - შუალედური ანგარიში (სათემო განვითარების ცენტრი, 2020) 22

[14] Ibid 23

[15] Ibid 24

მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებია (71%), საერთაშორისო დონორებზე დაფინანსების მხოლოდ 41% მოდის.[16] საბოლოოდ, აღნიშნული კვლევა რამდენიმე სირთულეზე ამახვილებს ყურადღებას: არასაკმარისი დაფინანსება (ასახელებს გამოკითხულთა 76%), ნიჰილიზმი (49.3%), სიღარიბე (38.7%), საქმის ერთად კეთების მოტივის ნაკლებობა (34.7%) უნდობლობა (24%).[17] აღნიშნული ორგანიზაციების დიდ ნაწილს (32.6%) არ აქვს სამუშაო სივრცეც.[18]

სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევის მიხედვით, ადგილობრივ თემებში სათემო ორგანიზაციების მუშაობა დადებითი შედეგების მომტანია, თუმცა, კვლევა ასევე ხაზს უსვამს, რომ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა უფრო გრძელვადიანი და სისტემური ხასიათის უნდა იყოს, რათა სათემო ორგანიზაციებმა ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი შედეგების მქონე პროექტების განხორციელება შეძლონ. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, ასევე მნიშვნელოვანია სათემო ორგანიზაციების დახმარება კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.[19]

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი თავს სათემო ორგანიზაციად არ აიდენტიფიცირებს, თუმცა ისინიც დაახლოებით ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორებისაც სათემო ორგანიზაციები. კერძოდ, სერიოზულ გამოწვევად რჩება ფინანსური სტაბილურობის საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციების წლიური ფინანსური ბრუნვის დაახლოებით ¾ თბილისში რეგისტრირებულ ორგანიზაციებზე მოდის, რეგიონებზე კი მხოლოდ ¼ ნაწილდება, რაც ასეთი ორგანიზაციებისთვის სირთულეს წარმოადგებს.[20]

არსებული კვლევები და ლიტერატურა ცხადყოფს, რომ რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების გაძლიერებაა საჭირო. სამწუხაროდ, აქამდე გამოქვეყნებული კვლევები ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პოტენციურ გამოსავლებზე კონკრეტულ პასუხებს არ იძლევა, თუმცა რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, მომუშავე ორგანიზაციების წინაშე არსებულ სირთულეებს აჩვენებს.

სამოქალაქო საზოგადოება, ეთნიკური უმცირესობები და ანტიდასავლური პროპაგანდა -გამოწვევები და მათი გადაჭრის პოტენციური გზები - კვლევის მიგნებები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები 8 სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებსაც ბოლო პერიოდში ეთნიკურ უმცირესობებთან ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება აქვთ. აღნიშნული 8 ორგანიზაციიდან, 6 მუდმივად ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობს და კარგად იცნობს რეგიონებში მცხოვრები სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეების საჭიროებებსა და ადგილობრივ კონტექსტს.

[16] Ibid 25
[17] Ibid 31
[18] Ibid 30
[19] ანა მარგველაშვილი & სხვ. სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა: ანგარში (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2023) 84-90
[20] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი (CRRC - საქართველო, 2021) 24

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში აწყდება სამოქალაქო საზოგადოება.

პრობლემები მრავალმხრივია და ძირითადად შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის სირთულეები, რასაც იწვევს: (ა) სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, რის გამოც მათ მიმართ სამიზნე აუდიტორიის ნდობა მცირდება; (ბ) სოფლის მეურნეობაში მძიმე ფიზიკური სამუშაოების გამო შექმნილი დროის დეფიციტი, რაც პოტენციურ სამიზნე აუდიტორიასთან კონტაქტის საშუალებას ზღუდავს; (გ) შრომითი მიგრაცია რუსეთში, რომელიც ძირითადად სომხურენოვან მოქალაქეებს აწუხებს და რომლის გამოც ემიგრანტების შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს კიდევ უფრო მეტად აწვებათ სოფლის მეურნეობის გაძღოლის ტვირთი; (დ) ხშირად იმ საკითხებზე ფოკუსირება, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის აღქმით მათ საჭიროებებს არ პასუხობს; (ე) აუდიტორიის გაზრდის პრობლემა. ამ გამოწვევის წინაშე ბევრი ორგანიზაცია დგას მას შემდეგ, რაც მათი აუდიტორია გარკვეულ რაოდენობამდე გაიზრდება, ახალ ადამიანების ჩართულობა უფრო რთულდება. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში არ შეინიშნება და მან ქართულენოვან მოქალაქეებთან მუშაობის დროსაც შეიძლება იჩინოს თავი;

2. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმირებულობის დონის ნაკლებობა. ინტერვიუების მიმდინარეობისას მეტ-ნაკლებად ყველა რესპონდენტი უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეები ინფორმაციულ ვაკუუმში არიან, რაც მათ ანტიდასავლური პროპაგანდის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის;

3. საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეებთან მუშაობის სირთულეები. როგორც ჩანს, ამ ასაკის ადამიანებში ანტიდასავლური პროპაგანდა უფრო ძლიერია, ვიდრე ახალგაზრდებში, რომლებსაც ინფორმაციის უფრო მეტი განსხვავებული წყაროდან მიღების საშუალება აქვთ. რესპონდენტების დაკვირვებით, ახალგაზრდებს შედარებით მარტივად შეუძლიათ პროპაგანდის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებისთვის მარტივია ახალგაზრდების სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა, საშუალო და უფროსი ასაკის აუდიტორიის მოცვა გაცილებით რთულია.

4. რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რესურსებისა და კვალიფიკაციის სიმწირე. თბილისში მომუშავე ორგანიზაციებისგან განსხვავებით, მათი ფინანსური რესურსები გაცილებით შეზღუდულია. ხშირად, ეს ორგანიზაციები ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ, ერთ-ერთ გამოკითხულ ორგანიზაციას დღემდე არ აქვს ოფისი და ფოტოკამერა, ხოლო ფინანსების სიმწირის გამო მრავალ ლოგისტიკურ პრობლემასთან უწევს გამკლავება. ამასთანავე, რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ფინანსური სტაბილურობის გარდა, მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვაც მნიშვნელოვანია.

კომუნიკაციის სირთულეები სამიზნე აუდიტორიასთან

პროპაგანდისა და ინფორმაციის მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლისას ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი სამიზნე აუდიტორიის შერჩევა და შემდეგ მასთან ეფექტური კომუნიკაციაა. ჩვენს შემთხვევაში სამიზნე აუდიტორიას ეთნიკური უმცირესობები

წარმოადგენენ, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო მათთან მომუშავე ორგანიზაციები კომუნიკაციისა და აღნიშნული აუდიტორიის სხვადასხვა პროექტში ჩართვის გზაზე მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება. ამ სირთულეების გადალახვა მარტივი არ არის, ზოგის გადალახვა კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ მხრივ, უდიდეს სირთულეს წარმოადგენს შრომითი მიგრაციის გავლენის დაძლევა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხურენოვანი მოსახლეობის ერთ-ერთი პრობლემაა. სამუშაოდ უცხო ქვეყანაში დიდი ხნით წასვლა ემიგრანტებთან კომუნიკაციის საშუალებას უკიდურესად ზღუდავს. ამასთანავე, მიგრაციის დიდი ნაწილი რუსეთისკენაა მიმართული, სადაც ეს ადამიანები თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდებიან რუსულ პროპაგანდას. ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში პროპაგანდისტული მესიჯების ეფექტურობა განსაკუთრებით იზრდება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ადამიანები უნებლიეთ მისინფორმაციის გამავრცელებლად შეიძლება იქცნენ.

„უფროს ადამიანებში მაღალია შრომითი მიგრაცია რუსეთში, ოჯახებთან ჩამოდიან მხოლოდ ახალი წლის დროს და, რა თქმა უნდა, როდესაც რუსეთში ხარ, რუსეთის გავლენა უფრო მეტად მოქმედებს შენზე.“ - ამბობს ჩვენთან საუბარში სამცხე-ჯავახეთის მხარეში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მორიგი პრობლემა, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში შრომითი მიგრაცია კიდევ უფრო ამწვავებს, რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების მძიმე ფიზიკური შრომაა, რომლის პარალელურადაც მათ სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრა თუ პროექტებში ჩართვა უჭირთ.

„ჩართულობის პრობლემა დგას, რადგან მამაკაცები ძირითადად საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოდ და ქალები, რომლებიც აქ რჩებიან, ძირითადად ფიქრობენ თავიანთ სახლებზე და არ აქვთ დრო იმისთვის, რომ მიიღონ მონაწილეობა პროექტებში.“ *- სამცხე-ჯავახეთი.*

„ერთ-ერთი ასპექტი არის ის მძიმე შრომა, რომელიც უწევთ ყოველდღიურად თვითდასაქმებულებს, მძიმე სოციალურ პრობლემებთან ბრძოლა, ამ ახალგაზრდების მძიმე შრომებში ჩართულობა და თითქმის თავისუფალი დროის არქონა“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მძიმე ფიზიკური სამუშაოები საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებსაც უზღუდავს სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სხვა სახის სასარგებლო პროექტში ჩართვის შესაძლებლობას. სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოქალაქეებთან სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის პროცესში აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

სამიზნე აუდიტორიის მოცვის თვალსაზრისით მორიგი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც არასამთავრობო ორგანიზაციები დგანან, უნდობლობის საკითხია. რესპონდენტების დაკვირვებით, უნდობლობა მეტწილად საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობაშია გავრცელებული და მას ძირითადად კვებავს ანტიდასავლური და რუსული პროპაგანდა, რომლის ერთ-ერთი სამიზნე არასამთავრობო სექტორია.

„ახალგაზრდებთან ვმუშაობთ, მაგრამ ზრდასრულებთან ცოტაა ნდობა არასამთავრობოების მიმართ. ზოგს არც უნდა, რომ მოისმინოს და მოვიდეს.“ - სამცხე-ჯავახეთი.

„სირთულეა ის, რომ დაჯერების კუთხით ძალიან რთულია. ახალგაზრდები რომ მოდიან, მათი მშობლები ხშირად სხვა რეალობის წინაშე აყენებენ მათ, ეუბნებიან, რომ უცხო გავლენის აგენტები ვართ. ძალიან კარგად მუშაობს აქ ლგბტ თემა, პროპაგანდა ავრცელებს, რომ არასამთავრობოები საზოგადოების გარყვნას ცდილობენ და ეს თემზე მოქმედებს. **ამ ადამიანებს ადგილზე ნდობა არ აქვთ. ინფორმაცია არის გავრცელებული, რომ ისინი ფულს იღებენ, ჭამენ, მხოლოდ ფულის გამო მუშაობენ, ლგბტ პროპაგანდას აკეთებენ.*“*** - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებითაა გააქტიურებული, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქალაქეების ნაწილისთვის შიშის დათესვის ინსტრუმენტი გახდა, რადგან ადამიანებს ეშინიათ, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის, მათ მიერ გამართულ შეხვედრებსა თუ პროექტებში მონაწილეობის შემთხვევაში თავადაც გახდებიან აღნიშნული პროპაგანდის სამიზნე.

„აგრესიულ კამპანიას არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩვენზეც აქვს უარყოფითი გავლენა. ჩვენ ვინც იქ გვიცნობს, იციან, ვინ ვართ და რატომ ვმუშაობთ ამ თემებზე და თუნდაც რატომ ვიღებთ გრანტებს და მხარდაჭერას, ესმით ძალიან კარგად, მაგრამ ზოგს ტრენინგებზე სიარულის უკვე ეშინია, რადგან ფიქრობენ, რომ აგენტის იარლიყი შეიძლება მათაც მიაკრან.” - სამცხე-ჯავახეთი.

რუსულ პროპაგანდასთან ეფექტურად გასამკლავებლად აუცილებელია, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებმა ნდობის მოპოვების მიმართულებით შეიმუშავონ ახლებური მიდგომა და მათ წინააღმდეგ აგორებული კამპანიის დასაძლევად შემხვედრ მესიჯებზე იმუშაონ. ადგილობრივ ორგანიზაციებს, უკიდურესად შეზღუდული რესურსების გამო, მსგავსი სტრატეგიების შემუშავება და შემდეგ განხორციელება, დიდი ალბათობით, ძალიან გაუჭირდებათ, ამიტომ აუცილებელია, მათი გაძლიერების მიმართულებით გადაიდგას ნაბიჯები და დონორებმა და მსხვილმა ორგანიზაციებმა მათ შესაბამისი დახმარება გაუწიონ. ამავდროულად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონსულტაციები და თანამშრომლობა ზემოხსენებულ ორგანიზაციებს შორის, რათა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ ძალაში შესვლასთან ერთად არასამთავრობო სექტორისთვის უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირებისთვის შესაბამისი გზები გამოინახოს, თუ კი ეს შესაძლებელია.

მორიგი გამოწვევა, რომელიც გამოიკვეთა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის აღქმებია, რომელთა მიხედვითაც მათი საჭიროებები უგულებელყოფილია და მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები მათთვის უმნიშვნელო საკითხებზე სვამენ აქცენტებს. რესპონდენტების თქმით, ეთნიკური უმცირესობები განსაკუთრებით წუხან იმ ფაქტის გამო, რომ მედიებს მათი რეგიონი მხოლოდ კრიმინალური შემთხვევების დროს ახსენდებათ.

„თავის დროზე ძალიან ბევრი არასამთავრობო მუშაობდა ადრეული ქორწინების თემაზე, მერე პროპაგანდა ამას კარგად იყენებს, ამბობს, რომ ესენი სოროსის გამოგზავნილები არიან და ეს მერე თემში მუშაობს.“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

„ცენტრალურ მედიებში ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ არის, ადრეულ ასაკში ქორწინების ამბავი გაშუქდეს, მკვლელობები გაშუქდეს, კულტურულ

ამბავს ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს პრობლემაა.“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის ასევე გამოიკვეთა სამიზნე აუდიტორიის გაზრდის და პროექტებში ახალი ბენეფიციარების ჩართვის სირთულე. როგორც ჩანს, გარკვეული სიდიდის აუდიტორიაზე გასვლის შემდეგ ახალი ადამიანების დაინტერესება რთულდება. ზემოჩამოთვლილი ხელის შემშლელი გარემოებები კი ამ ამოცანას კიდევ უფრო ართულებს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით უმცირესობებთან მომუშავე ორგანიზაციების მიერ ალბათ საერთო სტრატეგიისა და მიდგომების ჩამოყალიბებაა საჭირო.

„აუდიტორიის გაზრდაც და განახლებაც არის ერთ-ერთი გამოწვევა. ზოგადად ეს არამარტო ეთნიკური უმცირესობების პრობლემაა, ქუთაისშიც იმავე პრობლემის წინაშე აღმოვჩენილვარ.“ - თბილისში მოქმედი ორგანიზაცია.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ქვეყნის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ანტიდასავლური პროპაგანდის გავრცელებისთვის ხელსაყრელი პირობებია. აზერბაიჯანულენოვან მოქალაქეებში ანტიდასავლური პროპაგანდა, ქართულისა და რუსულის გარდა, შეიძლება აზერბაიჯანულ და თურქულ ენებზეც გავრცელდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკვირვება ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანულ და თურქულ მედიებში ანტიდასავლური პროპაგანდისტული მესიჯები ძალიან აქტიურად ვრცელდება, სომხურენოვან მედიაში კი შეიძლება როგორც პროპაგანდისტული მესიჯებით გაჯერებული, ისე - შედარებით დაბალანსებული ინფორმაციის მიღება. ამასთანავე, რესპონდენტების თანახმად, პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციული ვაკუუმი, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ არ არიან ისე კარგად ინფორმირებულნი, როგორც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა.

„ჩვენთან უფრო ის პრობლემაა, რომ ინფორმაციულ ვაკუუმშია ხალხი.“ - სამცხე-ჯავახეთი.

„რუსული არხები და შრომითი მიგრაცია მოქმედებს ხალხის აზრზე ისე, რომ ევროპა ჰგონიათ ცუდი, მათთვის გარყვნილებასთან ასოცირდება ევროპა და ამ ყველაფერზე ვცდილობთ, ვისაუბროთ.“ - სამცხე-ჯავახეთი.

„იქ, ადგილზეც, რომ ვხედავდით და ვესაუბრებოდით, ამ ხალხს ძალიან ბევრი რამ აკლია, ძალიან ბევრი რამ არ იციან, უსაფრთხოებაში, კიბერუსაფრთხოებაში შედარებით ნაკლებად ერკვევიან, ვიდრე დიდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანები.“ - თბილისში ბაზირებული ორგანიზაცია.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გარშემო საინფორმაციო ვაკუუმი და, იმავდროულად, დიდი ინტერესი რუსული, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური მედიის მიმართ ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ნამდვილად გამოწვევაა. სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობები ამ მიმართულებით განსაკუთრებით შეზღუდულია, რადგან ის არ ფლობს

მსხვილ მედიარესურსს და რუსული თუ სხვა უცხოური მედიის ჩანაცვლების შესაძლებლობა არ აქვს, თუმცა კოორდინირებული მუშაობის შემთხვევაში შეზღუდული რესურსების პირობებშიც შესაძლებელია პროპაგანდისა და ინფორმაციით მანიპულაციის წინააღმდეგ ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. მათ შორის შეიძლება იყოს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადება და სოციალური მედიის დახმარებით გავრცელება, ამავე ენებზე საინფორმაციო ბუკლეტებისა და ბროშურების დაბეჭდვა, სათემო ორგანიზაციების გაძლიერება, რომელთაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რეგულარული ხასიათის შეხვედრები მოქალაქეებთან და ა.შ. ანტიდასავლური ნარატივების წინააღმდეგ საბრძოლველად კარგი იქნებოდა საპირისპირო ნარატივების შემუშავება, რომლებიც პოზიტიურად წარმოაჩენენ დასავლეთს და მის როლს საქართველოს განვითარებაში.

„ჩემი აზრით, არასამთავრობოებმა უნდა ისაუბრონ იმაზე, ზოგადად რა სარგებელი მოაქვს დასავლეთს. მოსახლეობას უნდა დაანახონ დასავლეთის სიკეთეები.“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობასთან მუშაობის სირთულეები

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებს უფროსი ასაკის მოქალაქეებთან მუშაობა მრავალი მიზეზის გამო ყველაზე მეტად უჭირთ, მათ შორის ამ ასაკობრივ კატეგორიაში გავრცელებული ძლიერი ანტიდასავლური პროპაგანდის გამო, დაბალია სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ნდობა. სირთულეების მიუხედავად, ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის პროცეში ამ ასაკობრივ კატეგორიასთან მუშაობა აუცილებელია, რადგნაც აქ მდგომარეობა, როგორც რესპონდენტები აფასებენ, ყველაზე რთულია.

„რა თქმა უნდა, უფროსი ასაკის ხალხთან, ვინც ქართული არ იცის და რუსულ არხებს უყურებს, პროპაგანდა უკეთ მუშაობს. ახალგაზრდები რუსულ არხებს არ უყურებენ, ძირითადად უკვე იციან ქართულიც, სომხურიც და ინგლისურიც და, რა თქმა უნდა, ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა სოციალური მედიების საშუალებით. შეიძლება, დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდეს, თუნდაც ახალგაზრდა, რა თქმა უნდა, თუმცა უფრო ნაკლებია უფროსი თაობის ადამიანებთან შედარებით.“ - სამცხე-ჯავახეთი.

„ახალგაზრდებს უკვე ესმით და იციან ის ხერხები, რაც უნდა გამოიყენონ, რათა დეზინფორმაციის მსხვერპლი არ გახდნენ. პრობლემად რჩება უფროსი თაობა, უფროსი თაობისთვის ძალიან რთულია იმის ახსნა, თუ რა არის პროპაგანდა.“ - სამცხე-ჯავახეთი.

„ყველაზე რთული და პრობლემატური რჩება საშუალო ასაკიან და ასაკიან ხალხში. ეს მარტო მარნეულს არ ეხება, ეს ეხება კახეთს, ბოლნისს, გარდაბანს, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

იმისთვის, რომ ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლა ეფექტურად ჩაითვალოს, საჭიროა, ამ მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში არა მარტო ახალგაზრდები, არამედ უფროსი ასაკის ადამიანებიც ჩაერთონ. სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამოჩნდა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას აღნიშნულ სეგმენტთან ეფექტურ მუშაობაში

უშლის ხელს, თუმცა ამ მიმართულებით შემდგომი კვლევების ჩატარება აუცილებელია, რათა ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მებრძოლმა ორგანიზაციებმა შეიმუშავონ გარკვეული სტრატეგია, რომელიც მათ საკუთარი სამიზნე აუდიტორიის ყველა ასაკობრივი კატეგორიით შევსებაში დაეხმარება.

„პროექტებში მოსახლეობის ჩართულობა დამოკიდებულია იმაზე, რა პროექტს ახორციელებ, ეს არის ამოსავალი წერტილი, თუ საკითხი მათ დღის წესრიგში არ დგას, მაშინ არ ჩაერთვებიან.“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

როგორც ჩანს, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების დაინტერესება კონკრეტულად პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული ტრენინგებით საკმაოდ რთულია, იმავდროულად, უნდობლობისა და რეგიონებში მძიმე ფიზიკურ საქმიანობაში ჩართული მოქალაქეების დროის დეფიციტის ფაქტორიც სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მუშაობს, თუმცა შესაძლებელია საჭირო მესიჯების სხვა სახის საკომუნიკაციო არხების საშუალებით მიტანა. მაგალითად, თუ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები კონკრეტულად პროპაგანდის თემით არ ინტერესდებიან, ისინი შესაძლოა, სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით ჩატარებულმა ტრენინგებმა და სხვა სახის ღონისძიებებმა დააინტერესოს, სადაც ისინი შეძლებენ გაიგონ, თუ რა კონკრეტული სარგებელი შეიძლება მიიღონ ევროპის კავშირთან ურთიერთობის გაღრმავებით და ა.შ. ასევე შესაძლებელია რეგიონებში კულტურული ღონისძიებების წახალისება, რაც ადგილობრივთა ცხოვრებაში სიახლეს შეიტანს და მათი ცნობიერების ასამაღლებლად კარგი პლატფორმა გახდება.

აღნიშნული მიმართულებით სამუშაო ძალიან ბევრია, რეგიონების კონტექსტის შემდგომი გამოკვლევა ორგანიზაციებს მრავალი ახალი ინიციატივის შემუშავების საშუალებას მისცემს.

რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოწვევები

დედაქალაქში ბაზირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციების რესურსები რომ ნაკლებია, ეს აქამდე ჩატარებული კვლევებითაც დასტურდება, თუმცა, მეტ კონკრეტიკას საჭიროებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში მომუშავე სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსები. სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთსა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საკმაოდ რთული ვითარებაა. ზოგჯერ ეს ორგანიზაციები საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის პირობებში საკუთარი პროექტების მონაწილეების ტრანსპორტით უზრუნველყოფასაც ვერ ახერხებენ, რაც მათი აუდიტორიის გეოგრაფიას უკიდურესად ამცირებს და შედეგად ის მხოლოდ ქალაქური ტიპის დასახლებით შემოიფარგლება.

„საშუალების პრობლემაა. საშუალებაში რას ვგულისხმობ, მაგალითად, თუ ვატარებთ ნინოწმინდაში ტრენინინგს, ნინოწმინდის სხვადასხვა სოფლიდან გვინდა, რომ ჩაერთოს სხვადასხვა ასაკის და სქესის ადამიანი, მაგრამ ტრანსპორტი არ არის და ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ტაქსის ფული მივცეთ ამ ადამიანს. ხშირ შემთხვევაში ეს გამოწვევაა, რომ ტაქსის თანხას დონორები არ გაძლევენ.“ - სამცხე-ჯავახეთი.

ცალკე სირთულეს წარმოადგენს ორგანიზაციების ნაწილისთვის ოფისისა და სამუშაო სივრცის არარსებობა, საჭირო კომპიუტერული და ციფრული ტექნიკის დეფიციტი. რესურსების ასეთი სიმწირის პირობებში ამ ორგანიზაციებს შესაძლებლობების ზღვარზე უწევთ მუშაობა.

„რა თქმა უნდა, რესურსებიც არ აქვთ, რა რესურსები უნდა ჰქონდეთ ახლა მათ?“ - ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

„რთულია თუნდაც ოფისის ქირაობა, რაღაც საჭირო ტექნიკური რესურსების ყიდვა და ა.შ. ძირითადად ისეთი გრანტები გვქონდა, სადაც თანხა არ იყო გამოყოფილი ოფისებისთვის და დღემდე ოფისი არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის არ არის კარგი, რადგან ჩვენი შეხვედრები ტარდება ონლაინ, ვერ ვყიდულობთ კამერას, აქამდე რა პროექტებიც გვქონდა, იქ ამისთვის თანხა არ იყო გამოყოფილი, ჩვენ ვწერდით, მაგრამ მასზე უარს ვიღებდით.“ - სამცხე-ჯავახეთი.

ეთნიკურ უმცირესობებში ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ სამოქალაქო საზოგადოების ეფექტურობის გასაზრდელად აუცილებელია, რომ ფინანსურად გაძლიერდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომელთაც ყოველდღიური შეხება აქვთ სამიზნე აუდიტორიასთან. სათემო და ადგილობრივი ორგანიზაციები ყველაზე უკეთ იცნობენ აზერბაიჯანული და სომხური თემების კონტექსტს, მათ საჭიროებებს, იქ გავრცელებულ ნარატივებს, ფლობენ იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე სხვა ნებისმიერი ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, საჭიროა, რომ მათი ეფექტურობის გასაზრდელად ამ ორგანიზაციებს ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილების პრობლემა გადაეჭრათ. უნდა აღინიშნოს, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი“ ამ მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციებს დამატებით, ფუნდამენტურ გამოწვევებს უქმნის. სიღრმისეულ ინტერვიუებში აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ აპირებენ „უცხოური გავლენის გამტარებლად“ რეგისტრაციას, რასაც, სავარაუდოდ, მათი დაჯარიმება მოყვება, ეს კი მათ ისედაც შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს ძალიან მძიმე დარტყმას მიაყენებს. კიდევ ერთ სირთულეს, სტიგმატიზების საკითხიც ქმნის. რესპონდენტთა თქმით, ე.წ. აგენტის იარლიყმა მათ თანამოქალაქეებთან მუშაობა უკვე გაურთულა.

გარდა ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერებისა, რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებისთვის ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები თუ შეხვედრები, რომლებიც მათ შემდგომ გრანტების მოძიებაში, კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვაში, ორგანიზაციის მართვასა და სხვა საჭირო საკითხებში უკეთესი მიდგომების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

„[ადგილზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია] ჯერ ერთი, პერსონალური გაზრდა, ტრენიგების, შეხვედრების ჩატარება. უნდა ენდონ პატარა ორგანიზაციებს, ფინანსურად ხელი შეუწყონ და პერსონალურ განვითარებაში დაეხმარონ.“ - სამცხე-ჯავახეთი

„ჩვეულებრივი ტრენინგი, რომ 1 საათით წახვიდე და ისაუბრო, უფრო იმდენად ეფექტური არ არის და სხვანაირი მიდგომები სჭირდება და მიდგომები ნელ-ნელა ხდება. მაგალითად, თუ იარსებებს ამაზე ორიენტირებული რომელიმე ორგანიზაცია, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ მივაწოდოთ [აუდიტორიას] ინფორმაცია, რომ უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს, კარგი იქნება, რადგან, პატარა, ახალგაზრდა ორგანიზაციებს გვჭირდება დახმარება ამ პერიოდში, რომ წინ წავიდეთ.“ - სამცხე-ჯავახეთი

ახალი მიდგომების საჭიროება

როგორც აღმოჩნდა, ეთნიკურ უმცირესობებთან ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მომუშავე სამოქალაქო საზოგადოება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა დაძლევაც მრავალმხრივ მიდგომას საჭიროებს. არ არსებობს ერთი, უნივერსალური, გეგმა, რომელიც ყველა პრობლემას ერთიანად მოაგვარებდა.

უშუალოდ სამომავლო სტრატეგიის ჩამოყალიბების ეტაპთან მისვლამდე უმჯობესი იქნებოდა, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთმანეთთან თანამშრომლობა გაეძლიერებინათ. შეზღუდული ადამიანური თუ ფინანსური რესურსების გაერთიანებით, გარკვეულწილად შესაძლებელია ამ მიმართულებით არსებული დეფიციტის დაბალანსება. მსგავს კოალიციად თუ ალიანსად გაერთიანებამ ასევე შესაძლოა, დადებითი გავლენა იქონიოს დონორებთან ურთიერთობაზეც, რაც მათ ახალი გრანტების მოძიებას გაუმარტივებთ.

კოალიციად ჩამოყალიბების შემდეგი ლოგიკური ეტაპი შეიძლება იყოს სხვადასხვა თემის, ქალაქისა თუ დასახლების საჭიროებების გაგება. პროპაგანდასთან ბრძოლის მაქსიმალური ეფექტურობისთვის პირველი ნაბიჯი ჯერ იმის გაგება იქნებოდა, თუ რომელ თემში რა სახის პროპაგანდისტული ნარატივებია ყველაზე აქტუალური. შესაძლოა, რომ სომხურ თემში ეფექტურად მომუშავე ანტიდასავლური პროპაგანდის კონკრეტული გზავნილები საერთოდ არ იყოს აქტუალური აზერბაიჯანული თემისთვის და პირიქით. აღნიშნული კონტექსტის გამოსააშკარავებლად პირველ რიგში სოციალური კვლევების ჩატარებაა აუცილებელი, რომლის შედეგებსაც შემდგომში პროპაგანდის წინააღმდეგ შემუშავებული მიდგომები დაეფუძნება.

ასევე ახლებური მიდგომებია საჭირო მოქალაქეებთან კომუნიკაციის ნაწილში. რესპონდენტების თქმით, ერთეული ტრენინგების ჩატარება დიდად ეფექტური არ არის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას რეგულარული ხასიათი არ აქვს. ამასთანავე, ლოგისტიკური სირთულეების გამო ზოგიერთ რეგიონში აუდიტორიებში ტრენინგების ჩატარება მოსახლეობის ჩართულობის თვალსაზრისით ქმნის გამოწვევებს. ამ მხრივ, როგორც ჩანს, უფრო ეფექტურია სოფლებში სტუმრობა და იქ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები. მსგავი მიდგომა გარკვეულწილად იმ ადამიანებზე გასვლის საშუალებასაც იძლევა, რომლებსაც მუნიციპალიტეტის ცენტრში ტრენინგზე მისვლა დროის სიმცირის, ტრანსპორტის არარსებობის, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ.

„ჩვენც ვახორციელებდით პროექტებს ევროკავშირთან დაკავშირებით. ძირითადად ჩვენი [მიდგომა] არის სოფლებში გასვლა, მოსახლეობასთან შეხვედრა, ტრენინგების ჩატარება, რადგან ეს უფრო ეფექტიანია, ვიდრე მარტო ერთი წარმომადგენლის მოწვევა ქალაქში და მარტო ნინოწმინდაში ან ახალქალაქში ჩატარება.“ - სამცხე-ჯავახეთი.

სასურველია, რომ მომავალში პროექტები ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით დაიგეგმოს. ერთ-ერთი ასეთი საჭიროებაა, ინფორმაციასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. არასამთავრობოებმა შეიძლება ამ საჭიროების დაკმაყოფილებაში გარკვეული როლი შეასრულონ. მაგალითად, სოფლებში არასამთავრობოების ხელშეწყობით შესაძლებელია შეიქმნას გარკვეული სივრცე, სადაც იქნება ინტერნეტი და ჩატარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები. ასევე, დასავლეთთან ურთიერთობის უპირატესობებზე საუბრის დროს მეტი

ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან თემებზე, ისეთებზე, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა.

შესაძლოა, ზოგიერთი აქტივობა კონკრეტულად საშუალო და უფროსი ასაკის პირებზე ან სხვა კონკრეტულ ჯგუფებზე იყოს მორგებული. მაგალითად, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ხშირად გამოთქვამენ სურვილს იმისა, რომ მომავალში უკეთ შეძლონ სხვადასხვა წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის განსაზღვრა. შესაძლებელია კონკრეტულად ამ ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული მედიაწიგნიერების სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია უშუალოდ რეგიონებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რათა შეძლონ საკუთარი ორგანიზაციის ფინანსური საჭიროებების უზრუნველყოფა და საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელება.

დასკვნა და რეკომენდაციები

ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში ანტიდასავლური პროპაგანდა განსაკუთრებით ძლიერია. ამაზე აქამდე ჩატარებული სოციალური კვლევები მეტყველებს, რომელთა მიხედვითაც, ეთნიკურ უმცირესობებში ნატოსა და ევროპის კავშირის მიმართ მხარდაჭერა ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით ნაკლებია.

ენის ფაქტორი, რუსეთში სამუშაო მიგრაცია, რუსული და სხვა უცხოური მედიების გავლენა, რომლებიც ანტიდასავლურ პროპაგანდას ავრცელებენ, ადგილზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოწვევები, რესურსების ნაკლებობა, პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული პროექტების სიმცირე, უნდობლობა სამოქალაქო სექტორის მიმართ და რუსული პროპაგანდის მიერ სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილი სხვა გამოწვევები, სამიზნე აუდიტორიის გაზრდისა და მასთან მუშაობისას შექმნილი სხვადასხვა სირთულე იმ საკითხთაგანია, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებთან პროპაგანდის წინააღმდეგ მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ წამოწეული.

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთ პრობლემას არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ე.წ. სოციალური კაპიტალის ნაკლებობა წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ საკმარისად განვითარებული და მდგრადი კავშირები ადგილობრივ თემებთან. ასეთი კავშირები და გრძელვადიანი თანამშრომლობის გამოცდილება უზრუნველყოფს მხარეებს შორის ნდობის წარმოშობას. ასეთი ნდობა ანტიდასავლური პროპაგანდისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ცხადია, ცალკეულ ორგანიზაციას, განსაკუთრებით ადგილობრივი აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიერ შექმნილ ორგანიზაციებს, აქვთ ადგილზე მუშაობის და ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ისინი გარკვეული ავტორიტეტითაც სარგებლობენ ადგილობრივ თემებში. თუმცა, მათი კაპიტალი ამ ეტაპზე საკმარისი არ არის რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ანტიდასავლური ნარატივებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად სამოქალაქო საზოგადოებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია:

- ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში ანტიდასავლურ პროპაგანდაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რაც ამ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს, შეზღუდული რესურსების პირობებში ძალისხმევა გააერთიანონ.
- საერთო სტრატეგიისა და მიდგომების ჩამოყალიბება, რასაც მომავალში ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები ერთობლივად ან დამოუკიდებლად განახორციელებენ.
- ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საერთო პროექტების მომზადება და პოტენციურ დონორებთან ერთობლივი მუშაობა.
- ანტიდასავლურ პროპაგანდაზე მომუშავე შედარებით დიდი ორგანიზაციების მიერ რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი და სათემო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, მათთან თანამშრომლობის გაძლიერება.
- პროექტების მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად წინმსწრები კვლევის ჩატარება, იმ ანტიდასავლური ნარატივების დასადგენად, რომლებიც სამიზნე აუდიტორიაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული.
- ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად პროექტების განხორციელებისას მაქსიმალური ფოკუსირება იმ საკითხებზე, რომლებიც ადგილობრივი თემებისთვის აქტუალურია.
- ადგილობრივების საჭიროებებზე, პირველ ყოვლისა კი, ინფორმაციისა და განათლების მიღების საჭიროებაზე ორიენტირებული სივრცეების შექმნა და განვითარება.
- ადგილობრივი თემების კონკრეტულ სეგმენტებზე, მათ შორის უფროს და საშუალო ასაკის პირებზე გათვლილი ღონისძიებების დაგეგმვა.
- სამიზნე აუდიტორიის გასაზრდელად, ერთ კონკრეტულ ადგილას ღონისძიებების გამართვის ნაცვლად, გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა და მათ დასაინტერესებლად ინდივიდუალური მიდგომების ჩამოყალიბება.
- სოციალური მედიის ათვისება და იქ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ისეთი მასალის განთავსება, რომელიც საქართველოსა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის განხორციელებულ პროექტებში დასავლეთის პოზიტიურ როლსა და მხარდაჭერას უსვამს ხაზს.
- ადგილობრივ და ცენტრალურ სამაუწყებლო მედიებთან თანამშრომლობის გაძლიერება. ანტიდასავლური პროპაგანდის მიმართ მოქალაქეთა მედეგობის გასაზრდელად საერთო პროექტების, ვიდეო-რგოლების, გადაცემების და სხვა სახის მულტიმედია მასალების მომზადება და გავრცელება ტელე და რადიო მედიის საშუალებით.
- საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შიგნით ეთნიკური უმცირესოებების ადგილის, შესახებ ახალი ნარატივების შექმნა და გავრცელება, როგორც პროპაგანდის წინააღმდეგ მოქმედების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ნაციონალიზმის გაღვივების მნიშვნელოვანი იარაღი. ამ ნარატივების შიგნით ადგილი უნდა დაეთმოს საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების თემას და უმცირესობების როლის ევროპული მოდელების პოპულარიზაციას.

ბიბლიოგრაფია

დალაქიშვილი მარიამ, ირემაშვილი ნინო. *ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები*. EMC, 2020.

დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკა 2023.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალური ექსკლუზიის (გარიყვის) კვლევა: ანალიტიკური ანგარიში. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2022.

"კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო." *Caucasusbarometer.org*, 2024, caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/NATOSUPP-by-ETHNIC/.

კობერიძე თამარ. *სამოქალაქო საზოგადოების როლი, საუნივერსიტეტო კურსის საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის*.

მარგველაშვილი ანა. *საქართველოში 2019-20 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა: CBO Mapping - შუალედური ანგარიში* . სათემო განვითარების ცენტრი, 2020.

---. *სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა: ანგარიში*. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2023.

"რუსული კანონის საწინააღმდეგო, 2024 წლის აპრილ-მაისის აქციების გაშუქება სომხურ და აზერბაიჯანულ მედიებში." *Https://Idfi.ge/Ge*, 2024, idfi.ge/ge/coverage_of_the_april_may_2024_protests_against_russian_law_in_armenian_and_azerbaijani_media. Accessed 26 Aug. 2024.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი . CRRC - საქართველო, 2021.

"სათემო ორგანიზაციების რუკა - თემის განვითარების პროგრამა." *თემის განვითარების პროგრამა*, 2024, www.cdrc.ge/ge/organizations. Accessed 26 Aug. 2024.

ცეცხლაძე სალომე. *დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში: სახელმწიფოს მიდგომა და ბრძოლის გზები.* საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2023.